

**სამთო წარმოება და გარემოზე მისი ზეგავლენა ჭიათურის მანგანუმის საბადოს
მაგალითზე
გიორგი ლოლაძე**

ელ-ფოსტა: Giorgildz1@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

დღეს საქართველოში არსებული მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო რთულ პირობებში აღმოჩნდა ჩვენი გარემო და ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობა, კომერციული თუ სამთავრობო უწყებები ყველაფერს მაქსიმალურად იყენებენ ბუნებისგან, ხოლო სანაცვლოდ მისი რეკულტივაციისათვის ნაკლებად ან საერთოდ არ ზრუნავენ და ასეთი მიდგომის ფონზე ანთროპოგენულმა ფაქტორებმა მზარდი ხასიათი მიიღო, რაც უკვე თავს გვახსენებს სხვადასხვა კატასტროფული მოვლენებით. ამ ფაქტორებს თან ერთვის სხვადასხვა კომპანიებისა და საწარმოების მხრიდან გარემოს დაბინძურება, რაც ეკოლოგიურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს.

ნაშრომში დახასიათებულია ერთ ერთი უმსხვილესი დამაბინძურებელი „ჭიათურმანგანეზი“. ჭიათურის მადანს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის წიაღისეულ სიმდიდრეთა შორის. მას გააჩნია მაღალი ხარისხი, დიდი სამრეწველო მარაგი და ხელსაყრელი ტერიტორიული მდებარეობა. ტექნოგენური რელიეფის ფორმირებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სამთომოპოვებით ტრანსფორმირებული რელიეფი. ტექნოგენური ზემოქმედება, სხვა სახის ანთროპოგენური ფაქტორისაგან განსხვავებით იწვევს რელიეფის დიდი ნაწილის სრულ ტრანსფორმაციას. ამის ტიპური მაგალითია ჭიათურის მანგანუმის საბადოს მოპოვების არეალი, სადაც რელიეფი განიცდის ძირეულ ცვლილებას ნიადაგურ-მცენარეული საფარის სრული განადგურებით. ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად იცვლება რელიეფის სახე, რომლის ტრანსფორმაციის პერიოდი ემთხვევა სამრეწველო ეპოქის საწყის ეტაპს.

ჭიათურის სამთამადნო რეგიონში მანგანუმის ღია წესით მოპოვება 1200 ჰა-ზე მიმდინარეობს (1991წ). (62% მთელი საბადოს ფართობისა) სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა წესით მოპოვების დროსაც შეინიშნება ზედაპირის ცვლილება.